ივნისი, 2023

ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- მაისში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 7.0% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.
- ივნისში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე ნაკლები იყო და 0.6% შეადგინა, რაც ძირითადად განპირობებულია ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს და საცხოვრებლის ჯგუფზე ფასების ზრდით.
- მაისში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 3.4%-ით, ხოლო ხარჯები 13.9%-ით გაიზარდა.
- მაისში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 44.5 მლრდ ლარი შეადგინა, მათგან ყველაზე მეტი გაცემულია ვაჭრობის, მრეწველობისა და მშენებლობის დარგებში.
- იანვარ-მაისში* ექსპორტმა 18.6%-ით, ხოლო იმპორტმა 19.9%-ით მოიმატა და სავაჭრო ბრუნვამ 8,363 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- მაისში* ფულადმა გზავნილებმა 384.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 40.2%) და ევროკავშირის ქვეყნები (28.9%) წარმოადგენდნენ.
- ივნისში მთლიანი საერთაშორისო რეზერვები 5,067 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 29.2%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით.
- მაისში*, წინა თვესთან მიმართებით, მცირედით შემცირდა დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი, სესხებზე კი გაიზარდა.
- ივნისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 3.2%-ით, ხოლო ევროს მიმართ 2.8%-ით გაუფასურდა.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს

1. რეალური და ფისკალური სექტორი



მაისში* დადებითი ეკონომიკური ზრდა 7.0%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2023 წლის მაისში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 7.0% შეადგინა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023 წლის მაისში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებულმა ტემპმა [1] 10.0% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.





ივნისში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 0.6%-ს შეადგენს.

წინა წლის ივნისთან მიმართებით, 2023 წლის ივნისში ინფლაციის დონე 0.6%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელ. ენერგიაზე, აირზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, განათლებაზე და სხვა. ივნისში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 4.0%-ით განისაზღვრა. 2023 წლის მაისში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 2.3% შეადგინა.



[1] წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის გაწლიურებულ მაჩვენებელს.



მაისში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2023 წლის მაისში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 3.4%-ით, ხოლო ხარჯები 13.9%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 187.0 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო (ბიუჯეტის დეფიციტი) 195.3 მლნ ლარით განისაზღვრა.





მაისში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე ლარში გაცემული სესხები გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები შემცირდა.

წინა წლის მაისთან მიმართებით, 2023 წლის მაისში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 5.2%-ით მოიმატა და 44.5 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 15.0%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 5.2%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (55.5%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი - 20.4% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 19.4% - მრეწველობის, 18.7% - მშენებლობის, 14.0% - უძრავი ქონების ოპერაციების, 7.5% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



იანვარ-მაისში*, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი. კერძოდ, ექსპორტმა 18.6%-ით, ხოლო იმპორტმა 19.9%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 19.5%-ით გაიზარდა და 8,363 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.9%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: ყირგიზეთში (1,431.9%-ით, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის მატების გამო), აგრეთვე ესპანეთში (654.3%-ით), ყაზახეთში (278.6%-ით), სომხეთში (141.8%-ით), აზერბაიჯანში (50.2%-ით), რუსეთში (33.8%-ით) და სხვა. ექსპორტი შემცირდა უკრაინაში 38.2%-ით. საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა მსუბუქი ავტომობილების (316.2%-ით), მინერალური და დაგაზიანებული შაქრის დანამატებით წყლების (96.2%-ით), სპირტიანი სასმელების (71.0%-ით), ნატურალური ღვინის (29.7%-ით), მინერალური წყლის (26.8%-ით), ოქროს (8.9%-ით) ჯგუფებში. შემცირდა ფეროშენადნობების (69.7%-ით), აზოტოვანი სასუქების (44.0%-ით), სპილენძის მადნების (32.2%-ით) საზღვარგარეთ გატანა.





მაისში* ფულადი გზავნილები შემცირდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, 2023 წლის მაისში* საქართველოში ფულადი გზავნილები 23.9%-ით შემცირდა და 384.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 40.2%) და ევროკავშირის ქვეყნები (28.9%) წარმოადგენენ. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა ერაყიდან (390.6%-ით), ირლანდიიდან (109.6%-ით), თურქეთიდან (80.5%-ით), გერმანიიდან (48.5%-ით), გაერთიანებული სამეფოდან (41.3%-ით), აშშ-დან (37.9%-ით), არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან (37.1%-ით), ნიდერლანდებიდან (29.4%-ით), საფრანგეთიდან (24.3%-ით) და სხვა.



ივნისში საერთაშორისო რეზერვებმა 5,067 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2023 წლის ივნისში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 5,067 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ანუ 2022 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 29.2%-ით მეტი, წინა თვესთან მიმართებით კი 1.2%-ით მეტი.

2023 წლის ივნისის თვეში გამართულ საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე ეროვნულმა ბანკმა 17.1 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.



3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

მაისში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2023 წლის მაისში* სარეზერვო ფულის მასა 3.9%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატმა 29.5%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 10.9%-ს გაუტოლდა. ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 0.6% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
%-ლი ცვლილება



დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი
(მლნ ლარი, %)



მაისში*, წინა თვესთან შედარებით, დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი მცირედით შემცირდა, სესხებზე კი გაიზარდა.

მაისში* დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.33%-ული პუნქტით შემცირდა და 48.5%-ით განისაზღვრა. სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.55%-ული პუნქტით მოიმატა და 44.5% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, მაისის თვეში* ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 2.7%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 1.3%-ით გაიზარდა.

სესხები და დოლარიზაციის კოეფიციენტი
(მლნ ლარი, %)





მაისში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.4%-ული პუნქტით, ხოლო სესხებზე 0.1%-ული პუნქტით შემცირდა.

მაისში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 14.1% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 8.2%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) მაისის* მდგომარეობით 5.8% შეადგინა, 0.62%-ული პუნქტით ნაკლები წინა წლის მაისთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2023 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა (10.5%).

ივნისში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი როგორც აშშ დოლარის მიმართ, ისე ევროს მიმართ გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

ივნისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3.2%-ით, ევროს მიმართ 2.8%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 14.8%-ით გამყარდა. ამ პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ივნისში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 12.9%-ით, ევროს მიმართ 10.4%-ით, თურქული ლირას მიმართ კი 55.1%-ით გამყარდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეებში მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ფულადი გზავნილების მოცულობამ, ასევე ტურიზმიდან და ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რამაც, წინა წელთან შედარებით, დადებითი გავლენა იქონია ლარის კურსის გამყარებაზე.



4. რეგიონული მიმოხილვა

ივნისში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.
კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 38.2% შეადგინა. სომხეთში კი დეფლაცია დაფიქსირდა (-0.5%). რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2023 წლის მაისის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 11.5%-ით, ხოლო რუსეთში 2.5%-ით გაიზარდა.

წლიური ინფლაცია, ივნისი



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება
ივნისი, 2023



ივნისში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსების ნაწილი აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების, ხოლო ნაწილი გაუფასურების ტენდენციას ავლენს.
კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ივნისში აშშ დოლართან მიმართებაში გამყარდა სომხური დრამი (9.3%-ით), ხოლო რუსული რუბლი (31.0%-ით), თურქული ლირა (27.2%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.2%-ით) გაუფასურდა.

გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

ცხრილი N1. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

		ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოე 22	დეკ 22	იან 23	თებ 23	მარ 23	აპრ 23	მაი 23	ივნ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	7.2	9.7	10.5	8.8	8.3	9.3	11.0	8.4	5.8	7.3	7.5	7.0	
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	20.4	21.9	23.0	19.5	14.8	16.7	16.6	18.8	11.7	9.2	6.1	5.2	
მონეტარული სექტორი	ინფლაცია (%)	12.8	11.5	10.9	11.5	10.6	10.4	9.8	9.4	8.1	5.3	2.7	1.5	0.6
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	10.5	10.5
	დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	
	სესხების დოლარიზაცია (%)	0.5	0.5	0.5	0.5	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი (ლარი)	3.0	2.8	2.8	2.9	2.8	2.7	2.7	2.7	2.6	2.6	2.5	2.5	2.6
	გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	427,354.6	306,023.4	334,266.1	387,177.7	501,998.8	521,164.6	535,251.1	444,964.0	372,328.3	438,392.2	369,709.2	384,885.8	
	ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	448.8	533.2	473.1	523.5	448.7	490.7	555.8	458.9	455.8	546.7	500.5	541.0	
	იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,105.3	1,171.8	1,262.8	1,136.5	1,203.9	1,310.9	1,469.3	1,114.1	1,066.7	1,374.8	1,106.7	1,197.4	
	სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-656.5	-638.7	-789.7	-612.9	-755.2	-820.2	-913.5	-655.2	-611.0	-828.2	-606.2	-656.3	
	საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	3,922.4	4,156.7	4,260.7	4,313.1	4,385.6	4,636.7	4,900.6	4,899.3	4,720.2	5,003.8	5,133.4	5,005.3	5,066.7
ფისკალური სექტორი	შემოსავლები (მლნ ლარი)	1,707.5	1,424.4	1,356.2	1,680.6	1,688.4	1,898.4	2,151.6	1,858.0	1,555.1	1,656.6	2,165.0	1,755.9	
	მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,277.2	1,510.8	1,158.4	1,312.9	1,296.9	1,561.6	2,090.5	1,357.0	1,422.1	1,450.0	1,496.7	1,568.9	
	კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	445.9	327.5	403.4	624.5	148.0	600.3	1 054.5	185.9	313.1	317.4	414.1	400.6	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ცხრილი N2[2]**.** ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოე 22	დეკ 22	იანვ 23	თებ 23	მარ 23	აპრ 23	მაისი 23	ივნ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ცხრილი N3. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოე 22	დეკ 22	იანვ 23	თებ 23	მარ 23	აპრ 23	მაისი 23	ივნ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

[2] ცხრილ N2 და N3-ში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან.